

გიგლა გარსიაშვილის ბიოგრაფია

გიორგი (გიგლა) დავითის ძე გარსიაშვილი დაიბადა 1900 წლის 16 ოქტომბერს თბილისში. 1909–1919 წლებში სწავლობდა თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს ჩაეწერა მოხალისეთა ბატალიონში, რომელსაც პოლკოვნიკი მაღალაშვილი სარდლობდა. გ. გარსიაშვილი, ბატალიონთან ერთად, იბრძოდა აჯიკაბულთან (ბაქოს გუბერნია), მონაწილეობდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. აჯიკაბულიდან დაბუნების შემდეგ გ. გარსიაშვილი მეტყვიამფრქვეველთა ლეგიონში ჩაეწერა, რომელსაც გ. თავაძე სარდლობდა. ლეგიონი ყარაიაზე სახელმწიფო მიწებს ყაჩაღებისაგან იცავდა. 1918 წლის სექტემბერში გ. გარსიაშვილი გიმნაზიას უბრუნდება, მაგრამ ამავე წლის დეკემბერში, როცა საქართველოს სომხების ჯარი შემოესია, გიგლა ისევ ბოლშევიკებში ჩაება, სადაც, გამოჩენილი მამაცობისათვის, დააჯილდოეს წმ. გიორგის ჯვრით.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

1920 წელს სტუდენტთა ჯგუფთან ერთად გამოსცა სალიტერატურო ჟურნალი „თებერვალი“, „მარტი“, სადაც თავადაც მოათავსა ნაწარმოებები („მითხარი რისთვის“, „ტელეფონთან“, „შენი სურათი“, „და სიკვდილი ასე ლამაზი იყო“)

1921 წელს მონაწილეობდა რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში კოჯორთან. უკან დახვევისას, ბათუმამდე მიჰყვა ქართულ ჯარს.

1922 წელს იყო მესამე ვაჟთა გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელი. ამავე წლიდან დაპატიმრებამდე, თბილისის სახალხო სახლის დრამატული დასის რეჟისორის თანაშემწეა და ამავე დასის დირექტორი. ხელმძღვანელობდა სახალხო სახლის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საიბილეო წიგნის გამოცემას. წიგნში შესული სახალხო სახლის თეატრის ისტორია სწორედ გიგლა გარსიაშვილს ეკუთვნის.

1924 წლის 1 თებერვალს დააპატიმრეს და სამი თვის განმავლობაში იმყოფებოდა „გრუზჩეკაში“, ხოლო აპრილიდან – მეტეხის ციხეში. გიგლა გარსიაშვილის ნაწერები: ლექსები, მოთხრობები, პოემები, სხვადასხვა სახის ჩანაწერები დაპატიმრებისას წაიღეს. დახვრიტეს 1924 წლის სექტემბერში.

გიგლა გარსიაშვილის არქივის აღწერილობა

ბიოგრაფიული მასალები

1. „გიორგი (გიგლა) დავითის ძე გარსიაშვილი დაიბადა 1900 წელს...“ [გიგლა გარსიაშვილის ბიოგრაფია] თარიღი მითითებული არ არის. ხელნაწერი დაზიანებულია. 2 ფ.

2. „ჩემი დღიური“: [გიგლა გარსიაშვილის დღიური. მოიცავს 1916 წლის 22 ივნისი–2 აგვისტოს. უბის წიგნაკი. შესულია გ. გარსიაშვილის ლექსები, ახლობლების

მისამართები]. ხელნაწერი. ტექსტის ნაწილი შესრულებულია ფანქრით, ნაწილი-მელნით. თარიღი მითითებული არ არის. 27 ფ.

3. „სახალხო თეატრის 30 წლის არსებობა“: [პირველი სახალხო თეატრის ჩამოყალიბება თბილისში მე-19 საუკუნის 90-იან წლებში. მოხსენიებულნი არიან: კ. ასათიანი, ადელხანოვი, იოსებ ბესელიძე, ივანე იმედაშვილი, ზ.მ. კანდელაკი, ლ. რევიშვილი, სამ.[სონ] ტოროშელიძე, ავქსენტი ცაგარელი, სიმ[ონ] ჯუღელი, ზუბალაშვილი, ვასილ თევდორაშვილი-ჯანიაშვილი, ისაკ ძნელაშვილი, გიორგი ჯაბაური, იოსებ იმედაშვილი, შ. მჭედლიშვილი, დავით შველიძე და ამირან ნიკოგოსოვი, მიხეილ თუმშალიშვილი, პეტრე ციხისთავი, გ. წერეთელი, ან. წერეთელი, სოფიო რომანიშვილი, ნინო ნაკაშიძე, კოტე ხახანაშვილი, ივანე ქურთიშვილი, გ. გელიკურაშვილი, ალ. ბაჯიაშვილი, ბესო მასისურაძე, თამ[არ]. აფხაზიშვილი, ვანო მჭედლიშვილი, რ. სალაყაია, მიხეილ ლელაშვილი, ივანე იმედაშვილი, ან. ჟურული-იმედაშვილი, ლევან ბალაშვილი, მარიამ დემურია; ხალხური სიმღერების შემსრულებელი გ. მურმანიშვილი, ექიმი ნ.ა. ხუდადოვი. ხალხოსანი მასწავლებლები: ვ. რცხილაძე, ზ. ზანდუკელი, გ. ბეჟანიშვილი]. ხელნაწერი დაუმთავრებელია. თარიღი მითითებული არ არის. 4 ფ.

4. „N490 ბილეთი და სალექციო წიგნაკი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის...“: სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის სოციალური დარგის სტუდენტის გიორგი გარსიაშვილის სტუდენტური ბილეთი]. 1922 წელი, შემოდგომა. ტექსტის ბოლოს ხელმოწერებია: უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. დამბარაშვილის, საქმეთა მმართველის(არ იკითხება) და გ. გარსიაშვილის. წიგნაკი წითელ ყდაშია ჩასმული. ყდის შიდა გვერდზე მოთავსებულია გ. გარსიაშვილის ფოტო. ბოლო ჩანაწერი განეკუთვნება 1924 წელს. ჩანაწერის ქვეშ ხელმოწერაა: „სტუდ.საქმ. მდივანი (სახელი გაურკვეველია) გველესიანი“. 49 ფ.

5. „ნაკადული“: [საყმაწვილო ჟურნალი, რომელშიც გამოქვეყნებულია გიგლა გარსიაშვილის მოთხრობა „გადაუწყვეტელი საქმე“]. 1911 წელი, N15, აგვისტო, გვ.13-14. ტექსტს დართული აქვს ფოტო.

წერილები მეტეხის ციხიდან

6. „საყვარელო დედა! ...“: [დედისადმი მიწერილი წერილი, სადაც გ. გარსიაშვილი მადლობას უხდის მას ნივთების გაგზავნისათვის. სთხოვს ავადმყოფი მეგობრისათვის გამოუგზავნონ ღვინო, თავისთვის კი - შარლ ჟიდის „პოლიტიკური ეკონომია“ და ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორია“. ატყობინებს, რომ უნივერსიტეტის გამოცდისათვის ემზადება. მოხსენიებულნი არიან:

ზამბრჟიცკი, გერგესელი]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია მეღნიით. ტექსტის ბოლოს მინაწერი: „თქვენი გიგლა“. 1 ფ.

7. „ჩემო დედა!“ : [წერილი დედისადმი. ჩამოთვლილია უკან გასაგზავნი ნივთები. მადლობას უხდის სადილისათვის]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით. ბოლოში მიწერილია: „შენი გიგლა“. 1 ფ.

8. „საყვარელო დედა!“: [ატყობინებს, რომ კარგად არის, მაგრამ ნივთებს ვეღარ უბრუნებს, რადგან აღარ ღებულობენ. კითხულობს ვინმე იაშას]. 1924 წ. აგვისტო. ბოლოს მიწერილია: „შენი გიგლა“. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით. 1 ფ.

9. „ჩემო დედა!“: [უბრუნებს სურსათის კალათას. გახარებულია, რომ ყველა კარგად არის]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით. ტექსტის ბოლოს : „შენი გიგლა“. უბის წიგნაკის 1 ფ.

10. „საყვარელო დედა!“: [ჩამოთვლილია უკან დასაბრუნებელი ნივთები. წუხს, რომ ოჯახს მის გამო ბევრის გადატანა მოუხდა. დედას ჰპირდება, როგორც კი გათავისუფლდება, გამოასწორებს მათ წინაშე ჩადენილ დანაშაულს]. 1924 წ. აგვისტო. რვეულის ნახევი. ხელნაწერი შესრულებულია მეღნიით. ტექსტის ბოლოს მინაწერი: „შენი გიგლა“. 1 ფ.

11. „საყვარელო დედა!“: [ატყობინებს, რომ გამოგზავნილი ნივთები მიიღო. წუხს ძმის, არჩილის მდგომარეობის გამო, კითხულობს დას, ბაბოს]. 1924 წ. აგვისტო. რვეულის ფურცლის ნახევი. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით. 1 ფ.

12. „საყვარელო დედა! მივიღე ყველაფერი..“: [ჩამოთვლილია უკან დასაბრუნებელი ნივთები. სთხოვს დედას ნუ ივლის ყოველდღე („საქმეც არ გაგიფუჭდება“), შეწუხებულია ძმის, არჩილის მდგომარეობის გამო. აინტერესებს, როგორ სწავლობს და, ბაბილინა. წერილიდან ირკვევა, რომ დედას გიგლას ნახვის ნება არ მისცეს]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით რვეულის ფურცლის ნახევზე. ტექსტის ბოლოს: „შენი გიგლა.“ 1 ფ.

13. „საყვარელო დედა! მივიღე ყველაფერი...“: [წუხს, რომ ოჯახის წევრების ნახვის უფლება არ აქვს. სთხოვს დედას ნურაფერს მოუტანს, საჭიროების შემთხვევაში

თავად შეატყობინებს]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით რვეულის ფურცლის ნახევზე. ტექსტის ბოლოს: „შინი გიგლა.“ 1 ფ.

14. „საყვარელო დედა! მივიღე ყველაფერი. გიგზავნი ჩითის ტომარას...“: [ბარათში მოკითხვას უთვლის ყველას და სთხოვს დედას მოუტანოს პიესა „მსხვერპლი“. მოხსენიებულია გიგლას ძმა შოთა გარსიაშვილი]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით ქაღალდის პატარა ნახევზე. ტექსტის ბოლოს: „შენი გიგლა“. 1 ფ.

15. „საყვარელო დედა! [სთხოვს სამშაბათს მოვიდეს და თეთრეული მოუტანოს. ატყობინებს, რომ კალათა გიორგის [?] გამოატანა]. სთხოვს კბილის ტკივილის წამალი მოუტანონ]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით ქაღალდის ნახევზე. ტექსტის ბოლოს: „შენი გიგლა“. 1 ფ.

16. „საყვარელო დედა!...გიგზავნი კალათას...“: [ბარათიდან ირკვევა, რომ გიგლას ბებია (მამის დედა) გარდაეცვალა]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით ქაღალდის ნახევზე. 1 ფ.

17. საყვარელო დედა!...“: [სთხოვს ხშირად ნუ მოაქვთ სურსათი, რადგან საკანში „კომუნა“ აქვთ და სურსათს ინაწილებენ. ამასთან ერთად სთხოვს მოუტანოს პიესა „საშინელი შურისძიება“]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია მელნით რვეულის ფურცელზე. ტექსტის ბოლოს: „გიგლა“. 1 ფ.

18. „საყვარელო დედა!...“[სთხოვს, ყოველ დღე ნუ მოვლენ და ნუ შესწუხდებიან. საკანში „კომუნა“ აქვთ და სურსათს ინაწილებენ, ამიტომ მხოლოდ სამშაბათსა და პარასკევს მოუტანონ საკვები]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით. 1 ფ.

19. „საყვარელო დედა!...“: [მადლობას უხდის ამანათისათვის. აინტერესებს, რა მდგომარეობაშია სოფელში მათი სახლი. ატყობინებს, რომ ექიმმა გასინჯა და დანიშნულება მისცა. სთხოვს 40 კაპიკს წამლისათვის და ყველას მოკითხვას უთვლის]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით რვეულის ფურცელზე. 1 ფ.

20. „ჩემო დედა!...“: [ატყობინებს, რომ ტანსაცმელი მიიღო. კითხულობს დას, ბაბოს]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის პატარა ნახევზე ფანქრით. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „შენი გიგლა“. 1 ფ.

21. „მივიღე ყველაფერი...“: [სთხოვს ადრე მოვიდნენ, რადგან პასუხის დაწერას ვეღარ ასწრებს. წამალი არ მიუღია და კვლავ ითხოვს გამოუგზავნონ]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი. შესრულებულია ფანქრით ქაღალდის პატარა ნახევზე. ტექსტის ბოლოს გაკრული ხელით მინაწერია: „შენი გიგლა“ 1 ფ.

22. „საყვარელო დედა!...“: [ულოცავს ბაბილინასა და მის ამხანაგებს [არ არის მითითებული მილოცვის მიზეზი]. სთხოვს შეატყობინოს, ხომ არ უვრცელებენ უკადრის ჭორებს]. 1924 წ. თვე მითითებული არ არის. სავარაუდოდ, აგვისტო. ტექსტი შესრულებულია ქაღალდის ნაგლეჯზე, დაზიანებულია და ძნელად იკითხება. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „შენი გიგლა“. 1 ფ.

23. „გარსიაშვილი. საყვარელო დედა!...“: [პასუხი დედის თხოვნაზე, არ შემარცხვინო, ამიტომ ითხოვს პასუხს, რატომ უნდა შეარცხვინოს]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის ნახევზე ფანქრით. დასაწყისი არ იკითხება. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „რაშია საქმე გამაგებინე. გკოცნით ყველას. შენი გიგლა“. 1 ფ.

24. „გარსიაშვილი. საყვარელო შოთა!...“: [წერილი ძმისადმი. სთხოვს სოფელში დარჩეს და არ ჩამოვიდეს. კითხულობს დას, ბაბოსა და მარო მეზვრიშვილს]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით ქაღალდის ნახევზე. ტექსტის ბოლოს: „სულიერად მე თქვენთან ვიქნები. შენი გიგლა“. 1 ფ.

25. „ჩემო საყვარელო დედა!...“: [ჩამოთვლია მიღებული ნივთები. სთხოვს, მამიდას მარიამობა მიულოცოს. ატყობინებს, რომ წარმოდგენამ (?) კარგად ჩაიარა და ყველა კმაყოფილი დარჩა]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის ნახევზე ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „მოკითხვა ყველას. შენი გიგლა“. 1 ფ.

26. „საყვარელო დედა!“...: [ფიქრობს, რომ საშიშროებამ გაიარა და სთხოვს, ყველა სოფელში წავიდეს. კითხულობს ძმას, არჩილს]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის ნახევზე ფანქრით. 1 ფ.

27. „ჩემო საყვარელო დედა!...“: [ატყობინებს, რომ ხუთი წლით გადასახლება მიუსაჯეს და სთხოვს, არ იდარდონ. ამხნევენს ოჯახის წევრებს. სთხოვს, ასევე გამოუგზავნონ კ. კეკელიძი ორი ტომი. აიძულებს, რომ ციხის უფროსი ნახვის ნებას

დართავს]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის ნახევზე ფანქრით. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „შენი გიგლა“. 1 ფ.

28. „საყვარელო!...“: [ჩამოთვლილია დასაბრუნებელი ნივთები. კითხულობს ახლობლების ჯანმრთელობასა და ამხნევეს მათ. გადასცემს ზამბრუციცის მოკითხვას და სთხოვს მისთვის ღვინო კვლავ შემოუგზავნონ, რადგან ისევ სუსტადაა]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის ნახევზე მელნით. ტექსტის ბოლოს: „კალისტრატეს მამას ნახვა უნდა – ნახოს ანტონთან ერთად. თქვენი გიგლა“. 1 ფ.

29. „ჩემო საყვარელო დედა!...“: [ატყობინებს ჯანმრთელობის ამბავს, გადასცემს კოლიას (?) თხოვნას, მივიდეს კ.სადირაშვილთან, გამოართვას მისი ქაღალდები და შემოუგზავნოს. სთხოვს გამოუგზავნოს პოლიტეკონომიის მეორე წიგნი. კითხულობს კატოსა და ერემიას(?)]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით ქაღალდის ნახევზე. ტექსტის ბოლოს: „შენი ნახვის მონატრული გიგლა“. 1 ფ.

30. „Дорогая мама!...“: [ჩამოთვლილია მიღებული ნივთები. ატყობინებს, რომ დედის წერილი დახეული იყო]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით, ქაღალდის ნახევზე, რუსულ ენაზე. ტექსტის ბოლოს: „Привет и поцелуи всею Гигла“. 1 ფ.

31. „Дорогая мама!...“: [მოკლე შეტყობინება გამოგზავნილის მიღების შესახებ]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით, ქაღალდის ნახევზე, რუსულ ენაზე. ტექსტის ბოლოს: „Гигла“. 1 ფ.

32. „Дорогая мама!...“: [ცამოთვლილია ნივთები, რომელთაც უკან აბრუნებს. ატყობინებს, რომ უჭირს ოჯახის გარეშე ყოფნა და ყველა ენატრება. სთხოვს ლეოს(?) უნივერსიტეტში შეიტანოს მის მატრიკულში ჩასაბარებელი საგნები. კითხულობს მაშოს (?) ჯანმრთელობას]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით, ქაღალდის ნახევზე რუსულ ენაზე. ტექსტის ბოლოს: „Ваш Гигла“. 1 ფ.

33. „Дорогая мама!...“ : [მოკლე ბარათი გამოგზავნილი ნივთების ჩამონათვალით]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია რუსულ ენაზე, ფანქრით, ქაღალდის ნახევზე. ტექსტის ბოლოს: „Гигла“. 1 ფ.

34. „Дорогая мама!...“: [მადლობას უხდის დედას გამოგზავნილი სურსათისათვის]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია რუსულ ენაზე, ქაღალდის ნახევზე, ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „Привет и поцелуи всем“. 1 ფ.

35. „дорогая мама!...“: [მადლობას უხდის დედას გზავნილისათვის. ატყობინებს, რომ ჯანმრთელადაა და კითხულობს ოჯახის მდგომარეობას]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია რუსულ ენაზე, ქალაქის ნახევზე, ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „Гигла“. 1 ფ.

36. „Гарсиашвили. Дорогая мама!...“: [სთხოვს, რომ რძე აღარ შემოუგზავნოს. ჯანმრთელადაა და სთხოვს დედას მის გამო ასე ნუ სწუხს]. 1924 წ. ხელნაწერი, შესრულებულია ფანქრით ქალაქის ნახევზე რუსულ ენაზე. ტექსტის ბოლოს: „Гигла“. 1 ფ.

37. „Дорогая мама...“: [მადლობას უხდის გზავნილისათვის. მოკითხვას უთვლის ოჯახის წევრებს]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია რუსულ ენაზე, ქალაქის ნახევზე, ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „Гигла“. 1 ფ.

38–47. „Дорогая мама!...“: [მადლობას იხდის გზავნილისათვის. ჩამოთვლის დაბრუნებულ ნივთებს. ატყობინებს თავისი ჯანმრთელობის შესახებ და კითხულობს ოჯახის წევრების ჯანმრთელობას. ხშირად სწუხს, რომ არაფერს ატყობინებენ თავის შესახებ]. 1924 წ. ხელნაწერები შესრულებულია რუსულ ენაზე, ქალაქის ნახევზე, ფანქრით. ყველა ტექსტის ბოლოს გაკრული ხელით მინაწერია: „Гигла“. 1 ფ.

48. „გიორგი გარსიშვილი. Получил все...“: [ჩამოთვლილია მიღებული ნივთები. ატყობინებს, რომ თავს უკეთ გრძნობს. ხელმოწერის შემდეგ, მინაწერში სთხოვს თუთუნის შეგზავნას. ქალაქის მეორე გვერდზე ჩამოთვლილია შეგზავნილი სურსათის ოდენობა]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია რუსულ ენაზე, ქალაქის ნახევზე, ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „Соня Гарсиашвили“. 1 ფ.

49. „ჩემო საყვარელო დედა!...“: [გამოთქვამს შეშფოთებას, მართლა ართმევენ ბინას თუ არა. დანარჩენი ტექსტი გაურკვეველია]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქალაქის ნახევზე, ფანქრით. ხელმოწერა გაურკვეველია. 1 ფ.

50. „Дорогая мама! Привет всем...“: [მოკლე შეტყობინება მიღებული სურსათის შესახებ]. 1924წ. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით, ქალაქის ნახევზე, რუსულ ენაზე. ტექსტის ბოლოს: „Гигла“. 1 ფ.

51. „ჩემო დედა!...“: [უბრუნებს ნივთებს გასარეცხად. სთხოვს, არ იდარდოს]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი ფერის ფანქრით, ქალაქის ნახევზე. ტექსტის ბოლოს: „შენი გიგლა“. 1 ფ.

52. „საყვარელო დედა!...“: [ატყობინებს, რომ შემოგზავნილი ნივთები მიიღო. სთხოვს, პურს ბევრს ნუ უგზავნის]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით, ქაღალდის ნახევზე. ტექსტის ბოლოს: „ნუ გეშინიან. მამა მაჩვენეთ. მოკითხვა და კოცნა. შენი გიგლა“. 1 ფ.

53. „საყვარელო დედა!...“: [ატყობინებს, რომ თავს კარგად გრძნობს. უბრუნებს ჭურჭელს. კითხულობს გიორგის, სამას, ბაბოს, მამას, შოთას, ერემიას, არჩილს, ვანო ბეძენიშვილს]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით, ქაღალდის ნახევზე. ტექსტის ბოლოს: „შენი გიგლა“. 1 ფ.

54. „საყვარელო! მივიღე ყველაფერი...“: [დედას ატყობინებს, რომ ჯანმრთელადაა. ლეოს [?] სთხოვს გამოუგზავნოს პიესები: „იასონის ოინები“, ოთხი იმერელი“, ჭკუისა მჭირს“ და „საშინელი შურის ძიება“. ძმას, შოთას ავალებს პიესები გადაწეროს და შემოუგზავნოს]. 1924 წ. ხელნაწერი. შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით, ქაღალდის ნახევზე. ტექსტის ბოლოს: „გკოცნით ბევრს. მოკითხვა ყველას და ყველას. შენი გიგლა“. გვერდით წარწერაა: „ილიუშას მიეცით თუ არა ფული, მე რომ დამრჩა ვალათ? მამა მოვიდეს ნახვაზე ჩემს ნათლია კალისტრატესთან [ცინცაძე?]. 1 ფ.

55. „გარსიაშვილი. საყვარელო დედა!...“: [მოკლედ ატყობინებს, რომ ჯანმრთელადაა. კითხულობს, როგორ არიან ოჯახის წევრები]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის ნახევზე, ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „შენი გიგლა“. 1 ფ.

56. „საყვარელო დედა!...“: [უბრუნებს ჭურჭელს. სთხოვს, რომ ყოველ დღე ნუ ივლის, თავს გაუფრთხილდეს. იქნებ ნახვის ნებართვა მიიღონ]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით ქაღალდის ნახევზე. დაზიანებულია. ტექსტის ბოლოს: „შენი გიგლა“. 1 ფ.

57. „საყვარელო ჩემო დედა!...“: [სთხოვს, ყოველდღე ნუ დადის – საჭმელი აქვს და ნუ შეწუხდება. სთხოვს, ეცადნენ, რათა მიაღწიონ ნახვის ნებას]. 1924 წ. ხელნაწერი. ქაღალდის ნახევზე ფანქრით შესრულებული ტექსტი დაზიანებულია. ტექსტის ბოლოს: „შორიდან გეხვევი და გკოცნი დაუსრულებლივ. შენი გიგლა“. 1 ფ.

58. „საყვარელო დედა!...“: [ჩამოთვლილია დასაბრუნებელი ჭურჭელი. უკვირს, რომ ღვინის მიღების უფლება მისცეს]. 1924 წ. ხელნაწერი დაზიანებულია და შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით, ქაღალდის ნახევზე. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „შენი გიგლა“. 1 ფ.

59. „საყვარელო დედა!...“: [ლეოს და იაშა (?) ამშვიდებს, არაფერი მოუვათ, თუ პიესა – „საშინელი შურის ძიება“ – მოიპოვებენ. კითხულობს დის, ბაბილინას სწავლისა და ძმის, შოთას შესახებ]. 1924 წ. ხელნაწერი დაზიანებულია, შესრულებულია ქაღალდის მონახევზე ფანქრით. ტექსტის ბოლო მოხეულია. 1 ფ.

60. „საყვარელო ჩემო დედა!...“: [ატყობინებს, რომ გაგზავნილი მიიღო. სწუხს, რომ („ბედი არ მწყალობს“) მხოლოდ მას არ მისცეს ახლობლების ნახვის უფლება]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ფანქრით, ქაღალდის მონახევზე. ტექსტის ბოლოს: „შენი გიგლა“. 1 ფ.

61. „საყვარელო დედა!...“: [სთხოვს, ამდენ სურსათს ნუ გზავნიან – არ სჭირდება. ატყობინებს, რომ აბრია (?) მოიყვანეს ციხეში. მოკითხვას უთვლის ყველას]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის მონახევზე, ფანქრით. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „შენი გიგლა“. 1 ფ.

62. „ჩემო შოთა!...“: [გიგლა გარსიაშვილის ბარათი ძმისასადმი. ატყობინებს, რომ ორი დღის განმავლობაში ღებულობდა სურსათს. სთხოვს, ნუღარ შეწუხდებიან. კითხულობს, არჩილმა იმოვნა სამსახური თუა არა და სოფელში წასვლა თუ უნდათ, მის გამო ნუ დაყოვნდებიან]. 1924 წ. ხელნაწერი დაზიანებულია, შესრულებულია ფანქრით, ქაღალდის მონახევზე. ტექსტის ბოლო ნაწილი არ იკითხება. 1 ფ.

63. „ჩემო კარგო შოთა!...“: [ბარათი ძმისადმი. სთხოვს, მისი მიზეზით ნუ გადადებენ სოფელში წასვლას]. 1924 წ. ხელნაწერი დაზიანებულია და შესრულებულია ქაღალდის მონახევზე, ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „შენი გიგლა“. 1 ფ.

64. „ჩემო შოთა!...“: [სთხოვს, ადრე მოვიდნენ, ნუ იგვიანებენ. კითხულობს დედის, მამისა და ოჯახის სხვა წევრების ჯანმრთელობას. ავალებს კბილის წამლისა და „მსხვერპლის“ გაგზავნას]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის მონახევზე, ფანქრით. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „შენი გიგლა“. 1 ფ.

65. „Дорогой Шота!...“: [ჩამოთვლილია მიღებული სურსათი. კითხულობს ახლობლების ჯანმრთელობას, განსაკუთრებით მამოსი]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია რუსულ ენაზე, ქაღალდის მონახევზე, ფანქრით. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „Гигла“. 1 ფ.

66. „Милый Шота!...“: [მოკლე შეტყობინება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის მონახევზე, რუსულ ენაზე, შავი ფერის ფანქრით. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „Гигла“. 1 ფ.

67. „Милый Шота!...»: [მიიღო და უკან აგზავნის ნივთებს, რომლებიც არ სჭირდება]. 1924 წ. ხელნაწერი დაზიანებულია, შესრულებულია რუსულ ენაზე, ქაღალდის მონახევზე, შავი ფერის ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „Гигла“. 1 ფ.

68. „ჩემო შოთა!...“: [ატყობინებს, რომ სურსათს ნუღარ მოუტანენ, საკმარისად აქვს. სთხოვს, ლეოს[?] გამოართვან სახალხო თეატრის საიუბილეო კრებული და შემოუგზავნონ]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის მონახევზე, ლურჯი ფერის მელნით. ტექსტის ბოლოს: „ მამას მოკითხვა კალისტრატესა[ცინცაძე?] და ვარდიაშვილისაგან [ცნობილი მომღერლის ანა ვარდიაშვილის მამა. შემდეგ დახვრიტეს]. ყველას გკოცნით“. 1 ფ.

69. „ჩემო შოთა!...“: [ატყობინებს, რომ კარგადაა. შემდეგ ტექსტი აღარ იკითხება]. 1924 წ. ხელნაწერი დაზიანებულია, შესრულებულია შავი ფერის ფანქრით, ტიტულიანი ქაღალდის მონახევზე. 1 ფ.

70. „Милый Шота!...»: [მადლობას უხდის გზავნილზე და ყველას მოკითხვას უთვლის]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია რუსულ ენაზე, ქაღალდის მონახევზე, შავი ფერის ფანქრით. ტექსტია ბოლოს: „Гигла“. 1 ფ.

71. „საყვარელო შოთა!...“: [ატყობინებს, რომ გზავნილი მიიღო. მამას სახელობით დღესა და დას, ბაბილინას გიმნაზიის დამთავრებას ულოცავს. აბრუნებს პიესა „იასონის იონებს“]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის მონახევზე, ლურჯი ფერის მელნით. ტექსტის ბოლოს: „შენი გიგლა“. 1 ფ.

72. „გარსიაშვილი. საყვარელო შოთა!...“: [უბრუნებს ჭურჭელს. განსაკუთრებით კითხულობს მამასა და მამიდას. სთხოვს, მასზე ნუ იდარდებენ]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის მონახევზე, ლურჯი ფერის მელნით. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „ შენი გიგლა. მღვდელ ტიტო ვარდიაშვილისაგან ჩვენებს მოკითხვა“. 1 ფ.

73. „ჩემო საყვარელნო!...“: [ატყობინებს, რომ ყველაფერი სრულად მიიღო. კითხულობს ბაბილინასა და არჩილის სწავლის შესახებ. მოკითხვას უთვლის იამასა

და მის მეუღლეს[?]]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქაღალდის მონახევზე. ტექსტის ბოლოს: „შენი გიგლა“. 1 ფ.

74. „ჩემო შოთა!...“: [ატყობინებს, რომ სურსათი და საჭირო ნივთები მიიღო. სთხოვს, ცოტა ფული შეუგზავნონ. კითხულობს მშობლების ჯანმრთელობას. შოთას ავალებს „მცირე ხიდზე გამოიარე“ [აღნიშნული ფრაზა სხვა წერილშიც შეგვხვდა, თითქოსდა კონტექსტიდან ამოვარდნილია აქაც და იქაც]]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრით, ქაღალდის მონახევზე. ტექსტის ბოლო დაზიანებულია. 1 ფ.

75. „საყვარელო მამა!...“: [ჩამოთვლილია შეგზავნილი ნივთები. სთხოვს ოჯახის ამბავი შეატყობინოს]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის მონახევზე, ლურჯი ფერის მელნით. ტექსტის ბოლოს: „შენი გიგლა“. 1 ფ.

76. „საყვარელო მამა!...“: [ატყობინებს თავისი ჯანმრთელობის შესახებ და სთხოვს თამბაქოს შეგზავნას]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის მონახევზე, ფანქრით. ტექსტი დაზიანებულია და თითქმის არ იკითხება. 1 ფ.

77. „საყვარელო დედ–მამა!...“: [მადლობას უხდის ყველაფრისათვის. სთხოვს თავს მიხედონ და მისი დარდი არ ჰქონდეთ, ასევე, შეუგზავნონ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის მონახევზე, შავი ფერის ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „თქვენი გიგლა“. 1 ფ.

78. „საყვარელო მამა!...“: [ატყობინებს, რომ პიესა არ მიუღია და სთხოვს „მსხვერპლი“ შეუგზავნოს]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის მონახევზე, შავი ფერიუს ფანქრით. ტექსტის ბოლოს: თქვენი მონატრებული გიგლა. ნახვა მოახერხეთ“. 1 ფ.

79. „საყვარელო მამა!...“: [სთხოვს, ყოველ დღე ნუ უგზავნიან სურსათს. სთხოვს კბილის წამალი და ფეხსაცმელი შეუგზავნონ და თან ბოდიშს უხდის „უდიერობისათვის“]. 1924 წ. ხელნარი შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქაღალდის ნახევზე. ტექსტის ბოლოს: „ნახვა მოახერხეთ. შენი გიგლა“. 1 ფ.

80. „საყვარელო დედა და მამა!...“: [წუხს, რომ წინა დღეს გვიან მივიდნენ და პასუხის მიწერა ვერ მოასწრო. აგზავნის წამლის რეცეპტს. უჩივის სისუსტეს. მოხსენიებულია ტიტე ვარდიაშვილი]. 1924 წ. ხელნაწერი. შესრულებულია ქაღალდის მონახევზე, შავი ფერის ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „გკოცნი დაუსრულებლივ. გიგლა“. 1 ფ.

81. „საყვარელო მამა!...“: [სთხოვს პატიებას, რომ „ამ დღეში ჩაგაგდე“, ფიქრობს, რომ შეცდომის გამოსწორება გვიანია. კვლავ სწუხს, რომ ოჯახს კისერზე დააწვა]. 1924 წ. 13 აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის მონახევზე, შავი ფერის ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „შენი გიგლა“. 1 ფ.

82. „საყვარელო მამა!...“: [უგზავნის კალათას და სხვა ნივთებს. ატყობინებს, რომ სისუსტეს გრძნობს]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრით, ქაღალდის მონახევზე. ტექსტს თავზე ტ. ვარდიაშვილის მინაწერია დავით გარსიაშვილისადმი ციხიდან: „ძმაო დათიკო!...“. 1 ფ.

83. „საყვარელო მამა!...“: [უგზავნის კალათას, პოლიტეკონომიის სახელმძღვანელოს. კითხულობს ოჯახის ამბავს. მოხსენიებულნი არიან: გიგლას ძმა, არჩილ გარსიაშვილი, ნესტორ ჩხიკვაძე [ციხის საავადმყოფოში იყო მოთავსებული]. ტექსტის ბოლოს: „შენი გიგლა“. 1 ფ.

84. „ჩემო არჩილ!...“: [კითხულობს ოჯახის ამბებს და სთხოვს ნაწარმოებების [არ იკითხება] შეგზავნას]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის მონახევზე, თითქმის არ იკითხება. 1 ფ.

85. „გარსიაშვილი. ჩემო არჩილ!...“: [უბრუნებს ჭურჭელს. სთხოვს მოსწეროს, ვინ შემოუგზავნა თუთუნის]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი. შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქაღალდის მონახევზე. ტექსტი ძნელად იკითხება, ბოლოს: „შენი გიგლა“. 1 ფ.

86. „ჩემო არჩილ!...“: [სთხოვს, ყველა სოფელში წავიდე, რათა სახლი არ დაკარგონ, მისი მიზეზით ნუ დარჩებიან თბილისში. კითხულობს ერემიას[?]]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი. შესრულებულია ქაღალდის მონახევზე შავი ფერის ფანქრით. ტექსტის ბოლოს მონაწერია: „მოკითხვა ყველას! გკოცნი შენი გიგლა“. 1 ფ.

87. „გარსიაშვილი. ჩემო არჩილ!...“: [ატყობინებს, რომ გზავნილების რაოდენობა შეამცირეს და ამიტომ ნუღარ მოიტანენ ხშირად. აინტერესებს, არჩილმა სამსახური იშოვნა თუ არა]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი. შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქაღალდის მონახევზე. ტექსტის ბოლოს: „შენი ნახვის მონატრული გიგლა“. 1 ფ.

88. „ჩემო არჩილ!...“: [უგზავნის ჭურჭელს. კითხულობს ახლობლების ჯანმრთელობას. მოხსენიებულია გიგლას ძმა, შოთა გარსიაშვილი]. 1924 წ. აგვისტო. ხელნაწერი. შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქაღალდის მონახევზე. ტექსტი

დაზიანებულია, ბოლოში მინაწერია: „შენი გიგლა. ნახვა ითხოვეთ. გარკვევით მოიწერე, ვინ მომიკითხა. 8 თვეში რაც მოგწყდით – როგორ გგონია! აღარ მასხოვს სახელები, რომ ადვილად მივხვდე. დამავიწყდა, არჩილ, ყველაფერი“. 1 ფ.

89. „Арчил, брат!...“: [ჩამოთვლილია უკან გასაგზავნი ნივთები. მაღლობას უხდის ყველაფრისათვის]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია რუსულ ენაზე, ქაღალდის მონახევზე, შავი ფერის ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „Целую крепко всех. Гигла“. 1 ფ.

90. „ჩემო საყვარელო მამიდა!...“: [მაღლობას უხდის საკვების შემოგზავნისათვისა და განსაკუთრებით ხელნაწერებისათვის. სთხოვს, მოინახულოს ტიტე [ვარდიაშვილი]. მოხსენიებულნი არიან: მარიამ გარსიაშვილი, დავით გარსიაშვილი, სონია გარსიაშვილი, ტიტე ვარდიაშვილი]. 1924 წ. ხელნაწერი. შესრულებულია ქაღალდის მონახევზე შავი ფერის ფანქრით. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „ ჩემო მამო! გაკოცებ და დამიკოცნე დათიკო და სონია. შენი ტიტე“. 1 ფ.

91. „საყვარელო შოთა!...“: [მაღლობას უხდის გზავნილისათვის. კითხულობს მამიდას და დას, ბაბოს. ატყობინებს, რომ დღეს წარმოდგენა აქვს. მოხსენიებულნი არიან: შოთა, მარიამ და ბაბო გარსიაშვილები]. 1924 წ. ხელნაწერი. შესრულებულია ქაღალდის მონახევზე შავი ფერის ფანქრით. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „შენი გიგლა“. 1 ფ.

92. „Гарсиашвили. Получил...“: [ატყობინებს, რომ გზავნილი მიიღო. აინტერესებს, იყო მათთან ელისო თუ არა[?]. კითხულობს მამიდას და მოკითხვას უთვლის შალიკოსაგან. მოხსენიებულნი არიან: მარიამ გარსიაშვილი, შალიკო(თათუზოვი), ელისო(?)]. 1924 წ. ხელნაწერი. შესრულებულია ქაღალდის მონახევზე შავი ფერის ფანქრით. ტექსტი დაზიანებულია. 1 ფ.

93. „Гарсиашвили. Получил все...“: [ატყობინებს, რომ გზავნილი მიიღო. მოხსენიებულია ლიზა(?)]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქაღალდის მონახევზე. ტექსტი თითქმის არ იკითხება. 1 ფ.

94. „Дорогие...“: [ატყობინებს სურსათის მიღების თაობაზე. მოკითხვას უთვლის ყველას]. 1924 წ. ხელნაწერი. შესრულებულია ქაღალდის მონახევზე. ტექსტის ბოლოს გაურკვეველია ხელმოწერა. 1 ფ.

95. „Гарсиашвили...“: [ატყობინებს, რომ გაციებულია და სიცხიანი. სთხოვს, შეატყობინონ უნივერსიტეტის შესახებ]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის მონახევზე შავი ფერის ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „Привет и поцелуи. Гигла“. 1 ფ.

96. „Гарсиашвили. Получил все...“: [ატყობინებს თავისი ჯანმრთელობის შესახებ. კითხულობს მამიდა მაშოს. მოხსენიებულია მარიამ გარსიაშვილი]. 1924 წ. ხელნაწერი. შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქალაქის მონახევზე. ტექსტის ბოლოს წარწერა გაურკვეველია. 1 ფ.

97. „Гарсиашвили. Получил все. Примного благодарен. Шлю привет и поцелуи...“: [მადლობას უხდის ყველაფრისათვის. სთხოვს განსაკუთრებით მამა და დედა მოიკითხონ. ატყობინებს, რომ თავად ჯანმრთელადაა. მოხსენიებულნი არიან: დავით და სონია გარსიაშვილები]. 1924 წ. ხელნაწერი. შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქალაქის მონახევზე. ტექსტის ბოლოს: „Сообщите новости“. 1 ფ.

98. „Гарсиашвили. Получил все...“: [ატყობინებს თავის მდგომარეობას. აინტერესებს, მოიკითხეს თუა არა სამსახურიდან]. 1924 წ. ხელნაწერი. შესრულებულია ქალაქის მონახევზე შავი ფერის ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „Гигла“. 1 ფ.

99. „Дорогие!...“: [კითხულობს ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას. სთხოვს, შეუგზავნონ ფეხსაცმელი, რადგან ძველი გაუცვდა]. 1924 წ. ხელნაწერი. შესრულებულია შავი ფერის ფანქრით, ქალაქის მონახევზე. ტექსტის ბოლოს: „Гигла“. 1 ფ.

100. „Гарсиашвили. Получил все...“: [დასაბრუნებელი ნივთების ჩამონათვალი. სთხოვს კბილს ტკივილის წამალი შეუგზავნონ]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქალაქის მონახევზე. მინაწერი გაურკვეველია. 1 ფ.

101. „Гарсиашвили. Получил все. Присылаю...“: [წუხს, რომ არაფერს ატყობინებენ მამიდის სამსახურის შესახებ. მოხსენიებულია მარიამ გარსიაშვილი]. 1924 წ. ხელნაწერი. შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქალაქის მონახევზე. ტექსტის ბოლოს: „Гигла“. 1 ფ.

102. „Гарсиашвили. Вчера и сегодня...“: [ჩამოთვლილია მიღებული ნივთები. კითხულობს ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის შესახებ]. 1924 წ. ხელნაწერი. შესრულებულია ქალაქის მონახევზე შავი ფერის ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „Гигла“. 1 ფ.

103. „Гарсиашвили...“: [მიღებული სურსათის ჩამოთვლა. აინტერესებს მამიდის, მაშოს მდგომარეობა. მოხსენიებულია მარიამ გარსიაშვილი]. 1924 წ. ხელნაწერი

შესრულებულია შავი ფერის ფაქნრით ქალაღდის მონახევზე. ტექსტი დაუსრულებელია. 1 ფ.

104-106. „Гарсиашвили. Получил все...“: [მიღებული ნივთების ჩამონათვალი. კითხულობს მშობლების ჯანმრთელობის შესახებ]. 1924 წ. ხელნაწერი. შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქალაღდის მონახევზე. 3 ფ.

107. „საყვარელო!...“: [სთხოვს, მხოლოდ სამშაბათს, პარასკევს და კვირას მოვიდნენ. კითხულობს საგარეჯოს სახლის შესახებ]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქალაღდის მონახევზე. ტექსტი ძნელად იკითხება. 1 ფ.

108. „საყვარელონო!...“: [უბრუნებს ჭურჭელს. კითხულობს ძმის, არჩილის ამბავს. მოხსენიებულია თამარი (?), არჩილ გარსიაშვილი]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქალაღდის მონახევზე შავი ფერის ფანქრით. ტექსტი დაზიანებულია და ბოლო ნაწილი არ იკითხება. 1 ფ.

109. „გიორგი გარსიაშვილი...“: [დეღის, სონია გარსიაშვილის წერილი ციხეში გიგლა გარსიაშვილისადმი. ჩამოთვლილია შესაგზავნი ნივთები. მოკითხვას უთვლის ნათესავებისაგან, აინტერესებს გიგლას ჯანმრთელობის ამბავი. მოხსენიებულნი არიან: გიგლას ძმა არჩილ გარსიაშვილი, ნინუცა (?), ერემია (?)]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქალაღდის მონახევზე შავი ფერის მეღნით. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „გკოცნი. გენაცვალოს დედა შენა“. 1ფ.

110. „კავშირი“ N2: [ხელნაწერი ყოველკვირეული სალიტერატურო, დასურათებული ჟურნალი. მოხსენიებულნი არიან: დ.ზ. გარსიაშვილი, გიგლა გარსიაშვილი (ფსევდ.: გოგია გარეჯელი, გარე კახელი), ბიძინა გულისაშვილი, არჩილ გარსიაშვილი]. 1915 წლის 18 ივნისი. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის მეღნით. ჟურნალის უკანა მხარეს: ღირებულება, გამომცემლისა და რედაქტორის ვინაობა. 8 ფ.

111. „კავშირი“ N5: [ხელნაწერი ყოველკვირეული სალიტერატურო, დასურათებული ჟურნალი. მოხსენიებულნი არიან: ა. კაცხელი, აწყურელი, გოგია გარეჯელი, გიგლა გარსიაშვილი, გარე კახელი, შალვა თათუზოვი, ანგელინა გარსიაშვილი, დ.ზ. გარსიაშვილი, ივრისპირელი (ნატალია გარსიაშვილი), პანყრუტა (ნიკო გარსიაშვილი), მნახველი, ბიძინა გულისაშვილი, ი.ს. გარეჯელი]. 1915 წლის 23 ივლისი. ყდის უკანა მხარეს მოცემულია რედაქციის მისამართი და გამომცემელთა ვინაობა. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის მეღნით. 8 ფ

112. „კავშირი“ N10: [ხელნაწერი ყოველკვირეული სალიტერატურო, დასურათებული ჟურნალი. მოხსენიებულნი არიან: ივრისპირელი (ნატალია გარსიაშვილი), ბიძინა გულისაშვილი, გარეკახელი (გიგლა გარსიაშვილი), ნიაგ-ქარი (არჩილ გარსიაშვილი), დამსწრე, დ.ზ. გარსიაშვილი, გიგლა გარსიაშვილი, გიორგი ვაშაკიძე – მხატვარი, ვასილ გაბელაშვილი, მარო ძაბილაშვილი, იაშა ანუაშვილი, კოლა (ნიკოლოზი) ქვლივიძე, ნუნუ ვაშაკიძე, ლეჟავა, მაისურაძე, ივანე მაჩაბელი, შალიკო თათუზოვი, ანგელინა გარსიაშვილი, ნიკო გარსიაშვილი,]. 1915 წლის 18 ივნისი. ყდა დაბეჭდილია, ჟურნალი – ხელნაწერი. თავფურცელზე – „კავშირის“ რედაქციის განცხადება; უკანა მხარეს – ღირებულება და განცხადებები. მითითებულია რედაქციის მისამართი და გამომცემელთა ვინაობა, ასევე მინაწერი: „ამ N შემდეგ ჟურნალი აღარ გამოვა , რადგანაც ყველა თანამშრომელნი სასწავლებლად გაემგზავრნენ. რედაქცია“. ტექსტის ბოლოს გახსნილია ფსევდონიმები. 8 ფ.

113. „მეთაური“ N1: [ხელნაწერი ჟურნალი. მოხსენიებულნი არიან: გიორგი სუხიშვილი, იოსებ ბერიძე, დავით გარსიაშვილი, გიგა ხუციშვილი, ეპიტაშვილი, ნიკო უსტიაშვილი]. 1920 წლის 1 იანვარი. იუმორისტული ლექსები. ხელნაწერი დაზიანებულია – აკლია დასასრული. შესრულებულია შავი ფერის მელნით. 4 ფ.

114. „ეკალი“ N1: [დასურათებული, „საუბნო“, ხელნაწერი ჟურნალი]. თარიღი, რედაქტორისა და გამომცემლის ვინაობა მითითებული არ არის. ხელნაწერი შესრულებულია წითელი და ლურჯი ფერის მელნით. 5 ფ.

115. ი. გრიშაშვილი, ნიკო გოცირიძე (1894 XXX 1924). საიუბილეო გამოცემა: [მსახიობ ნიკო გოცირიძის ბიოგრაფია და შემოქმედებითი მოღვაწეობა]. 1924 წლის მარტი, თბილისი. თავფურცელზე ფანქრით მინაწერია: „გიგლას ელიზასაგან. ტფილისი. 1924 წ. 13.IV“. 45 გვ.

116. რაუდ გოგობია, „ზამთრის ჩუქურთმა“: [ლექსები]. 1919–1920 წ. ზამთარი. 8 ნაბეჭდი ფურცელი.

117. „სახიობა“: [ნაბეჭდი ჟურნალი. მოცემულია: პიესები, ცნობები ქართული თეატრის ცხოვრებიდან, მსახიობების ფოტოები, აკაკი ფაღავას დრამატული სტუდიის შესახებ და სხვა]. 1924 წელი, იანვარი, N2–3. ტექსტი ძლიერ დაზიანებულია.

118. გ. გერგესელი, „ნიღაბ ქვეშ“: [დრამა სამ მოქმედებად. მოხსენიებულნი არიან: გამომცემელნი მ. გოგაძე, ლ. რევიშვილი]. 1922 წ., თბ; ნაბეჭდი. ტექსტი დაზიანებულია. 48 ფ.

119. „Дежурному помощнику...“: [ექიმ ფარადაშვილის მიერ გაცემული ნებართვა პატიმარ მიხეილ ზაბრჟიციკისათვის, მისი თანხით, ერთი ბოთლი ღვინის შექენაზე]. 1924 წელი, 5 მაისი. ტექსტის ბოლოს ექიმის ხელმოწერაა. ხელნაწერი შესრულებულია რვეულის ფურცელზე ლურჯი ფერის მელნით. 1 ფ.

120. „Председ. Грузчек...“: [გიგლა გარსიაშვილის დედის, სოფიო (სონია) ედიშერის ას. გარსიაშვილის თხოვნა საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარისადმი შვილის, გ. გარსიაშვილის საქმის სასამართლოში საჯაროდ განხილვისათვის გადასაცემად]. 1924 წელი, 19 თებერვალი. თბილისი. ხელნაწერი შესრულებულია მწვანე ფერის მელნით. 1 ფ.

121. „რვეული შოთა გარსიაშვილისა გამოიცა 1918 წელს...“: [გიგლა გარსიაშვილის ძმის, შოთას მოსწავლეობის პერიოდის ორი მოთხრობა და ლექსები]. 1918 წ. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის მელნით. 6 ფ.

122. „დედა!...“: [არჩილ გარსიაშვილის პასუხი ციხიდან დედისადმი. კითხულობს ძმის, გიგლა გარსიაშვილის ამბავს – სად იმყოფება იგი. მოხსენიებულნი არიან: მარიამ გარსიაშვილი, ბაბო გარსიაშვილი, საშა (?), გიგლა გარსიაშვილი, სონია გარსიაშვილი]. ხელნაწერი შესრულებულია ქალაქის მონახევზე ლურჯი ფერის ფანქრით. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „არჩილი“. 1 ფ.

123. „არჩილ გარსიაშვილი...“: [დავით გარსიაშვილის წერილი ციხეში შვილის, არჩილ გარსიაშვილისადმი. ატყობინებს, რომ გიგლას ამბავი არ იცინა. უგზავნის სურსათს. მოხსენიებულნი არიან: გიგლა, არჩილ, დავით გარსიაშვილები]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით. ტექსტის ბოლოს: „გიგლა სად არის, არ ვიცით. მამა“. ხელნაწერის მეორე მხარეს მინაწერია: „მივიღე ყველაფერი. გიგლას ამბავი გაიგეთ უსათუოდ. შემატყობინეთ. არჩილი“. 1 ფ.

124. „გარსიაშვილი. შოთას!...“: [არჩილ გარსიაშვილის ბარათი ციხიდან ძმის, შოთასადმი. უბრუნებს ჭურჭელს, სთხოვს ხშირად ნუ მოვლენ]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქალაქის მონახევზე შავი ფერის ფანქრით. 1 ფ.

125. „Георгий Гарсиашвили...“: [ჩამოთვლილია შესაგზავნი სურსათი]. 1924 წ. სავარაუდოდ, წერილი არჩილი გარსიაშვილისადმია. ხელნაწერი ძალზე დაზიანებულია. შესრულებულია რუს. ენაზე, ქალაქის მონახევზე ლურჯი ფერის ფანქრით. ტექსტის მეორე მხარეს მინაწერია ქართულ ენაზე: „აქ არ არის. გადაყვანილია ადრევე ჩეკაში [იგულისხმება გიგლა გარსიაშვილი]. 1 ფ.

126. „არჩილ გარსიაშვილი...“: [დავით გარსიაშვილის წერილი შვილის, არჩილისადმი ციხეში. ჩამოთვლილია შესაგზავნი სურსათი]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით, ქაღალდის მონახევზე. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „ნამდვილად გიგლას შესახებ არა ვიცი რა... შენი მამა“. ხელნაწერის მეორე მხარე არ იკითხება. 1 ფ.

127. „არჩილ გარსიაშვილი...“: [სონია გარსიაშვილის ბარათი შვილის, არჩილისადმი ციხეში. ჩამოთვლილია შესაგზავნი ნივთები. მოხსენიებულნი არიან: არჩილ და სონია გარსიაშვილები]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია რვეულის ფურცელზე ლურჯი ფერის მელნით. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „როგორ ხარ მომწერე. შენი დედა“. ფურცლის მეორე მხარეს არჩილის მინაწერია იმის შესახებ, რომ ყველაფერი მიიღო. 1 ფ.

128. „არჩილ გარსიაშვილი...“: [სონია (სოფიო) გარსიაშვილის ბარათი არჩილისადმი. ჩამოთვლილია შესაგზავნი ნივთები. კითხულობს შვილის ჯანმრთელობას]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი და შავი ფერის ფანქრით. ტექსტის მეორე მხარეს არის არჩილის პასუხი, რომელშიც კვლავ გიგლას ამბავს კითხულობს. 1 ფ.

129. „არჩილ გარსიაშვილი...“: [დავით გარსიაშვილის ბარათი არჩილისადმი ციხეში. ჩამოთვლილია შესაგზავნი ნივთები. მოხსენიებულნი არიან: დავით, არჩილ, სონია, გიგლა გარსიაშვილები]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „იყავი მშვიდათ. შენი მამა“. ხელნაწერის მეორე მხარეს არჩილის პასუხია მიწერილი. 1 ფ.

130. „არჩილ გარსიაშვილი...“: [შოთა გარსიაშვილის წერილი არჩილისადმი]. 1924 წ. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის მონახევზე შავი ფერის ფანქრით. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „ყველანი კარგად ვართ. შოთა“. მეორე მხარეს არჩილის პასუხია, რომელიც არ იკითხება. 1 ფ.

პირთა საძიებელი

ა

ადელხანოვი – N3, გვ.4

ანუაშვილი, იაშა – N8, გვ.1; N73, გვ.1; N112, გვ.7

ასათიანი კ. – N3, გვ.4

აფხაზიშვილი თამ[არი]. – N3, გვ.1

ბ

ბალაშვილი, ლევანი – N3, გვ.4
ბაჯიაშვილი, ალექსანდრე – N3, გვ.4
ბეჟანიშვილი გ. – N3, გვ. 2
ბერიძე, იოსები – N113, გვ.6
ბესელიძე, იოსები –N3, გვ.5

ბ

გაბელაშვილი, ვასილი – N112, გვ.2, 8
გარსიაშვილი, ანგელინა – N111, გვ.1,9; N112, გვ.1, 8, 9,13
გარსიაშვილი, არჩილი – N11, გვ.1; N12, გვ.1; N26, გვ.1; N62, გვ.1; N83–89, გვ.1; N108, გვ.1; N109, გვ.1; N110, გვ.1; N112, გვ.6, 8, 9; N122–130, გვ.1, 2
გარსიაშვილი, ბაბულია (ბაბო) – N11, გვ.1; N20, გვ.1; N22, გვ.1; N59, გვ.1; N71, გვ.1; N72, გვ.1; N91, გვ.1; N122, გვ.1.
გარსიაშვილი, დავითი – N52, გვ.1; N54, გვ.1; N68, გვ.1; N71, გვ.1; N72, გვ.1; N75–83, გვ.1,2; N90, გვ.1; N97, გვ.1; N110, გვ.1, 2; N112, გვ.1; N113, გვ.6; N123, გვ.1; N126, გვ.1; N129, გვ.1
გარსიაშვილი, მარიამი (მაშო) – N25, გვ.1; N32, გვ.1; N65, გვ.1; N90–92; გვ.1, 2; N96, გვ.1; N101, გვ.1; N103, გვ.1; N122, გვ.1
გარსიაშვილი, ნატალია – N111, გვ. 1, 11; N112, გვ.4, 8, 10
გარსიაშვილი, ნიკო – N111, გვ.1, 13; N112, გვ.1, 8, 9, 10, 12
გარსიაშვილი, სონია (სოფიო) – N6–61, გვ.1; N77, გვ.1; N80, გვ.1; N90, გვ.1; N97, გვ.1; N120, გვ.1; N122, გვ.1; N127, გვ.1; N128, გვ.1; N129, გვ.1
გარსიაშვილი, შოთა – N14, გვ.1; N24, გვ.1; N54, გვ.1; N59, გვ.1; N62–74, გვ.1, 2; N88, გვ.1; N91, გვ.1; N121, გვ.1; N124, გვ.1, N130, გვ.1
გელიკურაშვილი გ. – N3, გვ.4
გერგესელი გ. – N6, გვ.1; N118, გვ.1
გოგაძე მ. – N118, გვ.49
გოგობია, რაუდი – N116, გვ.1
გოცირიძე, ნიკო – N3, გვ.4; N115, გვ.1
გრიშაშვილი, იოსები – N115, გვ.1
გულისაშვილი, ბიძინა – N110, გვ.15 ; N111, გვ.17; N112, გვ.8

დ

დემურია, მარიამი – N3, გვ.5

ე

ეპიტაშვილი – N113, გვ.6

ვ

ვარდიაშვილი, ტიტე – N68, გვ.1; N80, გვ.1; N82, გვ.2; N90, გვ.1

ვაშაკიძე, გიორგი – N112, გვ.8
ვაშაკიძე, ნუნუ – N112, გვ.7

ზ

ზაბრეციცი, მიხეილი – N6, გვ.1, N28, გვ.1; N119, გვ.1
ზანდუკელი ზ. – N3, გვ.2
ზუბალაშვილები – N3, გვ.3,4

თ

თათუზოვი, შალიკო (შალვა) – N92, გვ.1; N112, გვ.8, 9
თევდორაშვილი–ჯანიაშვილი, ვასილი – N3, გვ.2,3; N113, გვ.6
[თოთიბაძე] , ანტონი – N28, გვ.1
თუმშალიშვილი, მიხეილი – N3, გვ.1

ო

იმედაშვილი, ივანე – N3, გვ.4
იმედაშვილი, იოსები – N3, გვ.1, 2, 4

პ

კანდელაკი ზ.მ. – N3, გვ.2
კაცხელი ა. – N3, გვ.2

ლ

ლელაშვილი, მიხეილი – N3, გვ.4
ლეჟავა – N112, გვ.7

მ

მაისურაძე – N112, გვ.7
მაისურაძე, ბესო – N3, გვ.4
მაჩაბელი, ვანო – N112, გვ.6
მეზვრიშვილი, მარო – N24, გვ.11
მურმანიშვილი გ. – N3, გვ.2
მჭედლიშვილი, ვანო – N3, გვ.4
მჭედლიშვილი შ. – N3, გვ. 1

ნ

ნაკაშიძე, ნინო – N3, გვ.4
ნიკოგოსოვი, ამირანი – N3, გვ.4

ჟ

ჟურული-იმედაშვილი ან. – N3, გვ.4

რ

რევიშვილი ლ. – N118, გვ.49

რომანიშვილი, სოსო (იოსები) – N3, გვ.5

რომანიშვილი, სოფიო – N3, გვ.4,5

რცხილაძე ვ. – N3, გვ.2

ს

სალაყაია რ. – N3, გვ.4

სალარაშვილი ვ. – N29, გვ.1

სუხიშვილი, გიორგი – N113, გვ.5

ტ

ტოროშელიძე, სამ[სონი] – N3, გვ.5

უ

უსტიაშვილი, ნიკო – N113, გვ.6

ფ

ფარადაშვილი – N119, გვ.1

ქ

ქვლივიძე, კოლა (ნიკოლოზი) – N112, გვ.7

ქურთიშვილი, ივანე – N3, გვ.4

ღ

ღამზარაშვილი – N4, გვ.49

ყ

ყანდარელი ვ. – N112, გვ.9

შ

შველიძე, დავითი – N3, გვ.2

ჩ

ჩხიკვაძე, ნესტორი – N83, გვ.1

ც

ცაგარელი, ავქსენტი – N3, გვ.2

[ცინცაძე] კალისტრატე – N28, გვ.1; N54, გვ.1, N68, გვ.1

ციხისთავი, პეტრე – N3, გვ.4

ძ

ძაბილაშვილი, მარო – N112, გვ.8, 10

ძნელაშვილი, ისაკი – N112, გვ.2

წ

წერეთელი ან. – N3, გვ.4

წერეთელი გ. – N3, გვ.4

ხ

ხახანაშვილი, კოტე – N3, გვ.4, 5

ხუდადოვი ნ.ა. – N3, გვ.2

ხუციშვილი, გიგა – N113, გვ.6

ჯ

ჯაბაური, გიორგი – N3, გვ.1-3

ჯულელი, სიმ[ონი] – N3, გვ.5